

C V
თამაზ ბიბილური

ეროვნება: ქართველი. პარტიულობა: უპარტიო.

პროფესია: ტელევიზიის რეჟისორი.

განათლება:

1962-1964 საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული ორწლიანი სატელევიზიო სტუდია (ხელმძღვანელები: ს. ევლახიშვილი და შ. ქარუხნიშვილი). ტელევიზიის რეჟისორის ვაკა ფაჩულიას და რადიოს დიქტორ თათია ხაინდრავას ხელმძღვანელობით პრაქტიკა გაიარა თბილისის ტელეცენტრში, მთაწმინდაზე, საიდანაც მზადდებოდა და მიმდინარეობდა გადაცემები.

1963-1968 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (დაამთავრა სრული კურსი).

1966-1971 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტი, **კინო-ტელედრამატურგი.**

1976-1981 ლენინგრადის თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტი, სარეჟისორო ფაკულტეტი, **ტელევიზიის რეჟისორი.**

2010-2014 ქ. თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის **დოქტორანტი.**

სამუშაო გამოცდილება:

1963-1970 კინოსტუდია „ქართული ფილმი“ (სხვადასხვა თანამდებობები. მათ შორის მსახიობი, შეასრულა მთ. როლები ფილმებში: „პაპა გიგია“, „კეთილი ადამიანები“, „ქალაქი იღვიძებს ადრე“ და „სიმწიფის ატესტატი“).

1975-1980 საქართველოს **ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი. „მომბისა“ და სხვა რედაქციების კორესპონდენტი.**

1979 წ. საქართველოს სახელმწიფო ტელე-რადიოკომიტეტის სატელევიზიო ფილმების სტუდიაში თ. ბიბილურის სცენარით გადაიღეს სატელევიზიო ფილმი „ბორის ვაშაკიძე“.

1978-1982 საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების **კინოსტუდია, რეჟისორი.**

1982-1987 საქართველოს კომკავშირის ცკ-ის **კინოსა და ტელევიზიის განყოფილების გამგე.**

1989-ლღის ჩათვლით, საქართველოში პირველი დამოუკიდებელი ჟურნალისტური ორგანიზაციის, საქართველოს **ჟურნალისტთა კავშირი „სხივის“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი.**

1989 წ. 26 მაისი. საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის (ვაკის პარკში) შემდეგ, თ. ბიბილური და მ. კოსტავა სხვებთან ერთად წამოვიდნენ რიყეზე. რიყეზე ყოფნისას **თ. ბიბილური და მ. კოსტავა შეთანხმდნენ, ეზრუნათ რიყეზე საქართველოს ეროვნული მოძრაობის მუზეუმის დაარსებისთვის.**

1990 წ. 25 მაისი, თბილისში, რიყეზე, გახსნა **საქართველოს ეროვნული მოძრაობის მუზეუმი**, მერაბ კოსტავას სახელობის კულტურის ცენტრი. საგამოფენო დარბაზები დაათვალიერეს საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებმა, აგრეთვე თბილისში მყოფმა უცხოელმა სტუმრებმა.

1990-2000 „9 აპრილის“ მუზეუმი, **დამაარსებელი და ხელმძღვანელი.**

1990-1991 წლებში, საქართველოს **პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია** სამჯერ იმყოფებოდა თამაზ ბიბილურის მიერ დაარსებულ საქართველოს ეროვნული მოძრაობის მუზეუმში და „9 აპრილის“ მუზეუმში (რიყეზე და ლესელიძის ქუჩაზე). მან მაღალი შეფასება მისცა ჟურნალისტთა კავშირ „სხივისა“ და პირადად ბ-ნ თამაზ ბიბილურის მოღვაწეობას.

1992-2000 საქართველო-გერმანიის ურთიერთობის, „**მეზი სიმენსების თბილისის მუზეუმის“ დამაარსებელი და ხელმძღვანელი. მუზეუმის გახსნას დაესწრო საქართველოში გერმანიის პირველი ელჩი გიუნტერ დალჰოფი. მუზეუმი წლების განმავლობაში წარმოადგენდა საქართველო-გერმანიის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს.**

1992 წ. თებერვალი. სახელმწიფო გადატრიალების, ანუ პუტჩის დროს „9 აპრილის“ მუზეუმი (ლესელიძის ქ.) **ფრონტის ხაზში აღმოჩნდა. „ბოვიკების“** მიერ მოხდა მუზეუმის დარბევა-გამარცვა, რის შედეგადაც განადგურდა გამოფენის ექსპოზიცია. **თამაზ ბიბილურმა თავისი ხარჯით ერთი თვის მანძილზე, თითქმის სრულყოფილად აღადგინა და ფაქტობრივად მეორედ გახსნა „9 აპრილის“ მუზეუმი.**

1993 წ. 22 დეკემბერს, საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ოფისში ეწვია ბ-ნ თამაზ ბიბილურს. მან დაათვალიერა „9 აპრილის“ მუზეუმის ექსპოზიცია, გაეცნო მნიშვნელოვან საფონდო

(უნიკალურ) მასალებს და განიხილა თამაზ ბიბილურის პროექტები (მათ შორის თბილისში, რიყეზე, რეტრო-მიკრორაიონის შექმნის, - საქართველოში პირველი ფოტოხელოვანის ალ. როინაშვილის და სხვათა ფოტოსურათების გათვალისწინებით და ძველი სატრანზიტო გზის, ანუ „აბრეშუმის გზის“ აღდგენის პროექტი). პატრიარქმა მოწონებისა და მხარდაჭერის მიზნით, დალოცა ჟურნალისტთა კავშირი „სხივისა“ და მისი პრეზიდენტის საქმიანობა, ზ-ნ თამაზ ბიბილურს გადასცა მის მიერ გავრცელებული თაბახის ფურცელი, საერთაშორისო აქცია „მშვიდობით იარაღო!“-ს ტექსტით, რომელსაც ამშვენებდა პატრიარქის ხელით დაწერილი შემდეგი სიტყვები: – „ღმერთმა დაგლოცოთ, ილია II, 22/XII 1993“.

2000 წ. ე. შევარდნაძის მითითებით მოხდა ჟურნალისტთა კავშირი „სხივისა“ და „9 აპრილის“ მუზეუმის ფართის (იქ არსებული თ. ბიბილურის ოფისის) ფარული პრივატიზება და ამის შედეგად მუზეუმის ექსპოზიციის დარბევა-დატაცება. ამ დროიდან „9 აპრილის“ მუზეუმი დევნილობაშია.

1997-დღეის ჩათვლით, საზოგადოება „ილიელი“-ს (ი. ჭავჭავაძის) თავმჯდომარე.

2006-დღეის ჩათვლით, „9 აპრილის“ საზოგადოების თავმჯდომარე.

2000-დღეის ჩათვლით, გაზეთ „სხივის“ მთ. რედაქტორი.

2011-დღეის ჩათვლით, გაზეთ „სამშობლო +“-ის მთ. რედაქტორი.

2001 - არის თანაავტორი წიგნისა „მე ვადანაშაულებ“.

2001 წლიდან, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების ფაკულტეტებზე სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა. პროფესორი.

2006 ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გადარჩენის მიზნით, ზ-ნ გ. შარაძის ინიციატივით მოწყობილი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორების საპროტესტო აქციებისა და შიმშილობის (I კორპუსის საპროფესოროში) ერთ-ერთი ორგანიზატორი და მონაწილე (9 დღე იმიმშილა).

საზოგადოებრივი საქმიანობა:

1956 წ. 5-9 მარტი. 10 წლის ასაკში, მონაწილეობდა სტალინის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ხალხმრავალ მიტინგში, რომელიც თბილისში, „ვორონცოვის“ მოედანთან (თ. ბიბილურის საცხოვრებელ სახლთან ახლოს), მტკვრის გაღმა არსებულ ბაღში იმართებოდა. იყო ამ მიტინგის ორგანიზატორი ახალგაზრდების (რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ) თანაშემწე. 9 მარტს, დაახლოებით 01 საათზე, მიტინგის ხელმძღვანელთა ბრძანებით დატოვა ბაღის ტერიტორია და შინ დაბრუნდა. დაახლოებით 02 სთ. ბაღს ალყა შემოარტყეს მე-8 პოლკის ჯარისკაცებმა. ავტომატის სროლა ატყდა, რის შედეგადაც დაიღუპა და დაიჭრა მიტინგის მონაწილე ასობით ადამიანი. სროლის დაწყებისას (ამ დროს სახლში ეძინა) გაეღვიმა, რადგან შემოვარდნილმა „ბრმა“ ტყვიებმა დალეწეს ფანჯრის შუშები. მისი თხოვნით მამამ ბინის კარები გააღო და ბაღიდან გამოქცეული მიტინგის მონაწილე (დაახლოებით 30-40) ახალგაზრდა (რომლებიც ქუჩაში შევლას ითხოვდნენ) გათენებამდე შეიფარა.

1987 წლიდან აქტიურად ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. იყო ეროვნული გმირების - მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი.

1988 წ. ნოემბერი. იყო თბილისში, რუსთაველის გამზირზე, გამართული ხალხმრავალი მიტინგის ერთ-ერთი ორგანიზატორი და საპროტესტო შიმშილობის მონაწილე.

1988 წ. 8-12 დეკემბერი. სომხეთში სტიქიური უბედურების დროს, - მეორე დღესვე ქართველ მაშველთა პირველ ჯგუფთან ერთად ჩავიდა სპიტაკში და ლენინაკანში. 5 დღის მანძილზე როგორც მოხალისე მაშველი მონაწილეობდა მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა სამაშველო სამუშაოებში.

1989 წ. 7-8 აპრილი. საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობის ხალხის სამსახურში ჩაყენებისა და თავისუფალი აზრის გამოთქმის საშუალების მოპოვების მიზნით, თბილისში, სახელმწიფო ტელევიზიისა და რადიოს შენობასთან, მოწყობილი საპროტესტო მიტინგისა და აქციის იდეის ავტორი, ერთ-ერთი ორგანიზატორი და მონაწილე.

1989 წ. 4-9 აპრილი. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მოშიმშილე, 9 აპრილს განხორციელებული დარბევის შედეგად დაზარალებული.

1989-1991, იყო საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი და სახალხო ფრონტის I და II ყრილობის დელეგატი.

1989-1991 წწ. მოსკოვში, დონის მონასტერში, განახორციელა საკუთარი პროექტი, - მირქმის ეკლესიაში ქართული სამლოცველოსა და ქართველ დიდებულთა საძვალის მოვლა-პატრონობის სამუშაოები; ინტერიერს დაუბრუნა სრულყოფილი სახე.

1991 წ. 30 აპრილი - 4 მაისი. 1991 წ. 29 აპრილს, საქართველოში მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ რაიონებში, სადაც იყო ადამიანთა მსხვერპლი (საჩხერე, ამბროლაური, ონი), მეორე დღესვე ჩავიდა როგორც მოხალისე მაშველი. მიუხედავად აკრძალვისა, მაშინვე შევიდა სტიქიური უბედურების ზონაში, ოსი ეროვნების მცხოვრებთა პატარა სოფელში — ხახიეთში, სადაც ისევ გრძელდებოდა მიწისქვეშა ბიძგები. მოიარა სოფლის

ტერიტორია (მიწისძვრის ეპიცენტრი). მიწისძვრის დარტყმამ ეს სოფელი მაღლა (ალბათ 10-15 მ.) აიტაცა და შემდეგ გადმოზრუნებული სახით მიწას დაანარცხა (მიწისძვრის შედეგების ამსახველი მდგომარეობა ფორზე ასახა). მონაწილეობა მიიღო ამ სოფლის მკვიდრი, ორი პატარა ბიჭის გადარჩენაში. ოსი ეროვნების ეს ორი ბიჭი ტყისპირას იპოვა, მიიყვანა თავიანთი სახლის ნასახლართან და იქ ორივეს ერთად გადაუღო სამახსოვრო სურათი (ეს კადრი მსოფლიოს ბევრ საგამოფენო დარბაზში იყო წარმოდგენილი).

1991 წ. 17-18-19 აგვისტო. მოსკოვში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის პირველივე დღეს, თვითმფრინავით გადაფრინდა მოსკოვში და შეუერთდა დემოკრატიის დამცველთა ჯგუფს. 3 დღედაღამე გაატარა თეთრ სახლთან და პუტჩის დასასრულს, რუსეთის დემოკრატებთან ერთად იზეიმა გამარჯვება. თბილისში დაბრუნებისთანავე აღნიშნულის შესახებ პრესაში გამოაქვეყნა პუბლიკაციები და მოაწყო გამოფენა.

1990-1991 წ. საქართველოში სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას (მარნეულის და ბოლნისის რაიონში გადმოსახლებულ ოჯახებს) ხშირად უწევდა საქველმოქმედო დახმარებას.

1991 წ. დეკემბერი. რუსეთიდან ჩამოტანილი სამი (დაახლოებით 200 კილოიანი) მართლმადიდებლური საეკლესიო ზარი (მეგობრებთან ერთად) გადასცა: ერთი საქართველოს საპატრიარქოს, მეორე - გრემის ეკლესიას, მესამე - ბოდბის ეკლესიას.

1990-1992 წწ. თბილისში, რიყეზე, კულტურის ცენტრის პროექტი (რომელიც ჯერ არასამთავრობო ეროვნული მუზეუმის დაარსებით დაიწყო) ნაწილობრივ განახორციელა (რადგან საქართველოში მოხდა სახელმწიფო სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება და პუტჩის შედეგად მოსულმა თბილისის მერმა, არ მისცა საშუალება პროექტის დასრულებისა).

1992 წ. 24 ივნისი. დილით, როდესაც საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის შენობაში ტერორისტული აქტი განხორციელდა, მაშინვე იქ მივიდა და დაპირისპირებულ მხარეთა შორის ჩადგა, როგორც მედიატორი. ერთ-ერთი პირველი შევიდა ტელევიზიის შენობაში, შეძლებისდაგვარად წესრიგში მოიყვანა სააპარატო ოთახები და გენდირექტორის კაბინეტი (სადაც ერთი დღე - დაღამებამდე იმყოფებოდა).

1992-1993 წწ. საქართველოში სახელმწიფო სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ, კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერთა საპროტესტო მიტინგებში, აქციებში და დემონსტრაციებში აქტიური მონაწილეობისას, სპეცრაზმელთა მიერ ხუთჯერ იქნა ხელკეტებით ნაცემი და დაპატიმრებული (2-3 დღით).

1999 წ. 27 მაისი. თბილისში, დილით, გ. ლეონიძის ძეგლის გახსნისას, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებმა დააპატიმრეს. მტკიცებულების არარსებობის გამო ერთ დღეში (ღამე) გაათავისუფლეს.

1995 წ. 25 ოქტომბერი. „9 აპრილის“ მუზეუმის დარბაზში მოაწყო და საზეიმო ვითარებაში გახსნა გაეროს დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელსაც დაესწრო თბილისში არსებული თითქმის ყველა საელჩოს წარმომადგენელი და ელჩი. გამოფენის გახსნაზე გაეროს ელჩმა საქართველოში იუჯინ იუქელმა თამაზ ბიბილური დააჯილდოვა გაეროს საიუბილეო დროშით.

1994 წ. 17 აპრილს თამაზ ბიბილურის მიმართ, მის ოფისში („9 აპრილის“ მუზეუმში), განხორციელდა ტერორისტული აქტი (რომელიც დღემდე გაუხსნელია).

1995 წლიდან, ყოველწლიურად 2 თებერვალს, თბილისში აწყობს კეთილი ნების ადამიანთა მსვლელობას დევიზით: „მათ ხსოვნას სანთლებად ავინთებთ!“, 1992 წლის 2 თებერვალს, საქართველოში კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერთა მშვიდობიანი მანიფესტაციის დროს, ხუნტის „ბოვეიკების“ მიერ, გმირთა მოედანთან დახოცილი ადამიანების ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით.

1995 - დღეის ჩათვლით, ყოველწლიურად, თბილისში და დუშეთში აღნიშნავს, სიმართლისთვის წამებულ, ჟურნალისტ ნაზი შამანაურის ხსოვნის დღეს, როგორც თავისუფალი აზრის დღეს.

1999 წ. თამაზ ბიბილურმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თაღლითობაში ამხილა ე. შევარდნაძე, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: მისი მითითებით თბილისში, ათონელის ქუჩაზე, ამერიკის საელჩოს წინ, ააშენეს „ამერიკული ბერლინის კედელი“; აგრეთვე, მისი მითითებით, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ, უნდა დაედგათ უგუნური იკაროსის ძეგლი, როგორც 1989 წ. 9 აპრილის მოვლენების სიმბოლო.

1996 წ. 15 სექტემბერი. თბილისში არსებული აშშ-ის საელჩოს ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, მოაწყო - ატლანტაში ოლიმპიური თამაშების ჩატარებისადმი მიძღვნილი, კეთილი ნების ადამიანთა „OLD მარათონი“ „თბილისის წრე“ 21 კმ. აშშ-ის საელჩოში ჩატარდა შეხვედრა მარათონის მონაწილეებთან, შემდეგ საელჩოს ეზოში [ათონელის ქ.] აღებული იქნა სტარტი.

1997 წ. 15 სექტემბერი. გაეროს მიერ თბილისის „მშვიდობის დესპანი“ ქალაქის სტატუსის მინიჭების 10 წლისთავს მიუძღვნა, კეთილი ნების ადამიანთა მარათონი „თბილისის წრე“ 21 კმ. (სტარტი აღებული იქნა თავისუფლების მოედანზე, ქ. თბილისის მერიის შენობასთან).

1998 წ. 31 ოქტომბერი. ჩაატარა კეთილი ნების ადამიანთა „OLD მარათონი“ მარშრუტით: თბილისი, სიონის ეკლესია, მცხეთა, სვეტიცხოვლის ტაძარი.

1999 წ. 6 ივნისი. ა. პუშკინის დაბადებიდან 200 წლისთავთან დაკავშირებით, რუსეთის საელჩოსთან შეთანხმებითა და მათი თანადგომით, თბილისში განახორციელა პროექტი — ღონისძიებები, მათ შორის

პუშკინის მოყვარულთა „OLD მარათონი“ („თბილისის წრე“), პუშკინის თბილისში ყოფნასთან დაკავშირებული ადგილების გავლით 21 კმ. (იდეის ავტორი და ორგანიზატორი).

1990-2000 წწ. განახორციელა საქველმოქმედო პროექტი – „მსოფლიოს ქვეყნების ხელოვანთა ნამუშევრების (ფერწერა, ფოტოხელოვნება და სხვ.) თბილისში უფასო ჩვენება“. გამომცემლობა „მერანის“ და „9 აპრილის“ მუზეუმის დარბაზში 15-ჯერ მოაწყო აშშ-ისა და ევროპის სახელმწიფოების ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა (მათ შორის ნაჩვენები იყო პარიზში ლუვრის მუზეუმში დამზადებული ლეონარდო და ვინჩის ჯოკონდას ასლი და სხვ.).

1993-2000 წწ. თავისი ინიციატივითა და ხარჯით, როგორც ფილანთროპმა, თბილისში დააარსა აფხაზეთიდან დევნილ ბავშვთა საკვირაო შემოქმედებითი სკოლა, რომელშიც ყოველწლიურად დაახლოებით 50 მოსწავლე მონაწილეობდა. თბილისში 5-ჯერ მოაწყო აფხაზეთიდან დევნილ ბავშვთა ნახატების გამოფენა, ერთ-ერთს დაესწრო საქართველოში აშშ-ის ელჩი ბ-ნი უილიამ კორტნი.

2010-2012 წწ. თ. ბიბილური საზოგადოებრივ-პოლიტიკური შერიგება-მორიგების, ანუ ეროვნული თანხმობის მიღწევის მიზნით, თანამოაზრეების თანადგომით, არსებული ხელისუფლებისგან მოითხოვდა: საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების საქართველოში ხელშეუხებლობის გარანტიას, რათა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს (დევნილობაში მყოფ კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებს) თბილისში სხდომა ჩაეტარებინა და დაენიშნა საქართველოს პარლამენტის არჩევნები.

2012 წ. დღემდე არის არასამთავრობო (საზოგადოებრივი) ახალი ეროვნული მოძრაობა „სამშობლო“-ს სპიკერი.

საქართველოს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე იყო პრეზიდენტობის (დამოუკიდებელი) კანდიდატი.

2007, 2012 წწ თბილისში, რუსთაველის გამზირზე, 2007 წლის 7 ნოემბრისა და 2012 წლის 9 აპრილის საპროტესტო მიტინგებისა და აქციების მონაწილე და იქ ხელისუფლების მიერ განხორციელებული დარბევის შედეგად დაზარალებული. აქვე, 2019 წ. 9 აპრილს განხორციელებული პროვოკაციის (ფიზიკური თავდასხმის) შედეგად დაზარალებული.

2012 წ. აირჩიეს საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად.

2017 წ. აირჩიეს საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად.

2017 წ. 5 აპრილი. თამაზ ბიბილურის ინიციატივითა და ორგანიზებით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი „სხივის“, „9 აპრილის“ საზოგადოებისა და საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „1989 წლის 4-9 აპრილის მოვლენები და თანამედროვეობა“. აქვე მოეწყო 1989 წლის აპრილის მოვლენების ამსახველი გამოფენა (თ.ბიბილურის კოლექციის გამოყენებით).

2017 წ. 23 მაისი. თამაზ ბიბილურის ინიციატივითა და ორგანიზებით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ საგამოფენო დარბაზში ჩატარდა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია თემაზე: „26 მაისი და 9 აპრილის პარალელები“. მონაწილეობდნენ: საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი „სხივისა“ და „9 აპრილის“ საზოგადოების წევრები (აგრეთვე, დაინტერესებული პიროვნებები და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები). აქვე მოეწყო შესაბამისი გამოფენა (თ.ბიბილურის კოლექციის გამოყენებით).

2017 წლის 17-18 ივლისი. თამაზ ბიბილურის ინიციატივითა და ორგანიზებით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ საგამოფენო დარბაზში ჩატარდა გამოფენა (წარმოდგენილი იყო საქართველოს ბუნებისა და მდ. ვერეს ხეობაში სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებული კადრები). 18 ივლისს გაიმართა დისკუსია, აქვე მოეწყო საერთაშორისო ფონდი „ახალი თბილისის“ პროექტის „მწვანე ქალაქი“-ს განხილვა.

1993 წ. კეთილი ნების დესპანი. საქართველოს პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით შექმნა საქართველოში „აბრეშუმის დიდი გზის - ძველი სავაჭრო-სატრანზიტო გზის“ აღდგენისა და განხორციელების პროექტები, მათ შორის პროექტი სახელად „ახალი თბილისი“.

განხორციელებული პროექტები:

კეთილი ნების ადამიანთა „OLD მარათონი“ და ჟურნალისტური ექსპედიციები ძველი სავაჭრო-სატრანზიტო გზის (ძირითადად ფეხით სიარულით ან სირბილით) გავლით:

1993 და 1994 წწ. აბრეშუმის დიდი გზის ერთ-ერთ მიმართულებაზე (დარიალის ხეობისაკენ და მდ. არაგვის ხეობაში) განახორციელა საქველმოქმედო, ჟურნალისტური და სპორტული (მთამსვლელო) ექსპედიციები ფშაგ-ხევსურეთსა (დუშეთში, ბარისახოში, შატალიში და სხვ.) და სტეფანწმინდაში. როგორც მთამსვლელი, ავიდა ბეთლემზე და შემდეგ დაიპყრო მწვერვალი მყინვარწვერი (ზ-დ. 5033 მ.). მყინვარწვერის კალთაზე არსებულ ბეთლემის გამოქვაბულში ლოცვა აღავლინა.

1994 წლიდან დღეის ჩათვლით, ხშირად ატარებს პროექტის „ახალი თბილისის“ გათვალისწინებულ ღონისძიებებს. მაგ. კეთილი ნების ადამიანთა მარათონს (ზოგჯერ კეთილი ნების ადამიანთა მსვლელობა-გადარბენას) თბილისში ზოტანიკური ბაღიდან ს. შინდისის ან შავნაბადას მონასტრის მიმართულებით. აგრეთვე, ორთაჭალიდან მთაზე ასვლით, შავნაბადას მონასტრისა და თელეთის ეკლესიის მიმართულებით.

1994 წ. 8 და 9 თებერვალი. ჩაატარა ლილეჰამერში ზამთრის XVII ოლიმპიური თამაშების გახსნისადმი მიძღვნილი სათბილაშურო ტრავერსი მარშრუტით: კოჯორი-დიდგორი-ნიჩბისი.

1994 წ. აგვისტო. ქუთაისის დაარსების 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი, კეთილი ნების ადამიანთა „OLD მარათონი“ და ჟურნალისტური ექსპედიცია (მონაწილეობდნენ ძირითადად 50 და მეტი წლის ადამიანები) მარშრუტით: თბილისი-გორი-ზესტაფონი-ქუთაისი. იდეის ავტორი და ხელმძღვანელი.

1995 წ. ოქტომბერი. გაეროს დაარსების 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი, კეთილი ნების ადამიანთა „OLD მარათონი“ და ჟურნალისტური ექსპედიცია (მონაწილეობდნენ ძირითადად 50 და მეტი წლის ადამიანები) მარშრუტით: თელავი-სიღნაღი-თბილისი-გორი-ზესტაფონი-ქუთაისი. იდეის ავტორი და ხელმძღვანელი.

1997 წ. ოქტომბერი. ი. ჭავჭავაძის დაბადებიდან 160 წლისთავისადმი მიძღვნილი თამაზ ბიბილურის მარათონი და ჟურნალისტური ექსპედიცია, სახელად „აბრეშუმის გზა“ მარშრუტით: ყვარელი-აზერბაიჯანი (აზერბაიჯანის საზღვართან პირველი სოფელი) თბილისი-ქუთაისი-ფოთი-ჩაქვი (ჩინური სახლი „ლაო“), ბათუმი-თურქეთი, - საზღვრისპირა ვილაეთის ერთ-ერთი სოფელი („აბრეშუმის დიდი გზის“ საქართველოს ნაწილის ფეხით, - სირბილით გავლა. გზადაგზა, - ზოგიერთ მონაკვეთზე უერთდებოდნენ სხვადასხვა ასაკის მოხალისეები). იდეის ავტორი და ექსპედიციის ხელმძღვანელი.

2004 წლის მაისი-ივნისი. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ ატარებდა ინდივიდუალურ აქციებს (ზოგჯერ თანამოაზრეებთან ერთად) ე.წ. „9 აპრილის“ მემორიალის კონკურსის შედეგების გაბათილების მიზნით („9 აპრილის“ მემორიალის კონკურსი დღემდე არ ჩატარებულა).

2006 წ. აქტიურად მონაწილეობდა მ. სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების წინააღმდეგ გამართულ მიტინგებში და აქციებში. იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობის წინ გამართული „სირცხვილის დერეფნისა“. საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელთა მიმართ პროტესტის ნიშნად 2 დღე და ღამე იჯდა (იშინილა) საზ. მაუწყებლის შენობის კიბეებთან დადგმულ კარავში.

2006-2010 წლები. თამაზ ბიბილურის ინიციატივით, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან გამოყრილი რედაქციებისა და ჟურნალისტების მხარდასაჭერად იმართებოდა ინდივიდუალური (და მხარდამჭერთა) აქციები ჯერ გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობასთან, ხოლო შემდეგ საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს შენობასთან.

2008 წ. იყო აქტიური მხარდამჭერი მწერლებისა, რომლებიც გამოყარეს თბილისში, მაჩაბლის ქუჩაზე არსებული მწერალთა სახლის შენობიდან. მწერლების მხარდაჭერის მიზნით მეუფე ამბროსი (ქათამაძესთან) ერთად ორი ღამე გაათენა მწერალთა კავშირის კუთვნილ შენობაში.

2000 წლიდან დღემდე, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, პერიოდულად ატარებს ინდივიდუალურ აქციებს (ზოგჯერ მხარდამჭერებთან ერთად) დევიზით – „ქართული მიწა და შენობა-ნაგებობები უცხოელებზე არ იყიდება!“

2009 წლიდან, თბილისში და დუშეთში პერიოდულად ატარებს ინდივიდუალურ (ზოგჯერ მხარდამჭერებთან ერთად) აქციებს, დუშეთში ილია ჭავჭავაძის მუზეუმისა და ძეგლის აღდგენის მიზნით (დუშეთში ილია ჭავჭავაძის მუზეუმი გაანადგურეს, ხოლო ძეგლი მოიპარეს !!!).

2016 წ. 31 მარტი. თამაზ ბიბილურის ინიციატივითა და ორგანიზებით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში დაფუნდა (საზოგადოებრივი არაფორმალური ორგანიზაცია) ახალი ეროვნული მოძრაობა „სამშობლო“. აქვე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების მონაწილეობით, ჩატარდა გაფართოებული სხდომა, მიძღვნილი – 1991 წ. 31 მარტს, საქართველოში გამართული რეფერენდუმის 25 წლისთავისადმი.

2017 წ. 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს, თბილისში, გამომცემლობა „სამშობლოს“ ყოფილ შენობასთან (კოსტავას ქ-№14), რომელსაც ამჟამად დაეპატრონა კაზინო „აჭარა“, ჩაატარა ინდივიდუალური საპროტესტო აქცია დევიზით – „თბილისი კაზინოს გარეშე“. თ. ბიბილურის მშვიდობიან აქციას შეუერთდნენ მხარდამჭერები, რომლებმაც შემდეგ (თ. ბიბილურთან ერთად) ეს აქცია გააგრძელეს იქვე, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ 51-ე სკოლის შენობასთან.

2017 წლის 18 მარტს, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ყრილობაზე, როგორც ყრილობის დელეგატმა, დანაშაულში ამხილა ამავე ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ყოფილი და ამჟამინდელი ხელმძღვანელები.

2014 წ. 4 მაისს, მონაწილეობა მიიღო ფონდის Wings for life (ფრთები სიცოცხლისთვის, რომელიც ორიენტირებულია ზურგის ტვინის ტრამვის მკურნალობაზე), ყველაზე მასშტაბურ და უნიკალურ სპორტულ ღონისძიებაში Wings for life World Run (ფრთები სიცოცხლისთვის – მსოფლიო რბენა), რომელშიც ქველმოქმედებისთვის მთელი მსოფლიო გაერთიანდა. გადაიხადა საქველმოქმედოდ დადგენილი თანხა და

ლოპოტას ხეობაში მონაწილეობა მიიღო ამ ფონდის მიერ ორგანიზებულ მარათონში, მარშრუტით: თელავის მისადგომები - ყვარელი (გადარბენით დაფარა დაახლოებით 42 კმ.).

2016 წ. 8 ივნისი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში მოაწყო საერთაშორისო ფონდის „ახალი თბილისი“-ს საინიციატივო ჯგუფის პირველი საჯარო შეხვედრა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან.

2016 წ. 13-14 ივლისი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ საგამოფენო დარბაზში მოაწყო საერთაშორისო ფონდი „ახალი თბილისი“-ს გამოფენა „იყო და არა იყო-რა, ანუ ბუნება მბრძანებელია“. ექსპოზიციის წარმოდგინა თბილისში, საბავშვო ქალაქ „მზიური“-ს გახსნისა (1982 წ.) და 2015 წ. მდ. ვერეს ხეობაში წყალდიდობის შედეგად შექმნილი მოვლენების ამსახველი უნიკალური კადრები. ექსპოზიციის მეორე ნაწილი დაეთმო თბილისის შემოგარენში, „ახალი თბილისი“-ს პროექტის ამსახველ მასალებს. საერთაშორისო ფონდის „ახალი თბილისი“-ს საინიციატივო ჯგუფის მიერ მოხდა ამ ფონდის წარდგენა საზოგადოებრიობისა და ჟურნალისტებისთვის.

2016 წ. 31 აგვისტო - 1 სექტემბერი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ საგამოფენო დარბაზში, მოაწყო პროექტის „ახალი თბილისი“-ს („მწვანე ქალაქის“) განმეორებითი წარდგენა საზოგადოებრიობისა და ჟურნალისტებისთვის.

2016 წ. 24 სექტემბერი. თბილისში, 300 არაგველის ობელისკთან, კრწანისის ბრძოლის აღსანიშნავად, მოაწყო ხანმოკლე გამოფენა-აქცია ღია ცის ქვეშ. წარმოდგენილი იყო პროექტის „ახალი თბილისი“-ს მასალები. „ახალი თბილისი“-ს პროექტს გაეცნო თბილისის მერი ბ-ნი დ. ნარმანია.

2017 წლის 20 იანვარს, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე ჩატარდა ბ-ნ თამაზ ბიბილურის საერთაშორისო პროექტი „ახალი თბილისი“ („მწვანე ქალაქის“) პრეზენტაცია.

2017 წლის 27 იანვარს, საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე ჩატარდა ბ-ნ თამაზ ბიბილურის საერთაშორისო პროექტი „ახალი თბილისი“ („მწვანე ქალაქის“) პრეზენტაცია.

2017 წლის 13 სექტემბერს, თბილისში, იუსტიციის სახლის საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რეესტრაციის გაატარა „თამაზ ბიბილურის საერთაშორისო ფონდი ახალი თბილისი“.

2017 წ. 27 სექტემბერი. თამაზ ბიბილურმა (სოხუმის დაცემის დღეს), საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ საგამოფენო დარბაზში მოაწყო მდ. ენგურის ნაპირთან გამართული, ქართველი და აფხაზი ხალხის მეგობრობის ზეიმის ამსახველი გამოფენა და დისკუსია. ექსპოზიციის ერთი ნაწილი დაეთმო ზეიმის მონაწილე, ეროვნული გმირის ჟიული შარტავას და სხვა ქართველი და აფხაზი მოღვაწეების წარმოჩენას (თ. ბიბილურის კოლექციის გამოყენებით).

2017 წლის 21 ნოემბერს, საქართველოს მწერალთა კავშირში (თბილისი, მაჩაბლის ქ.№13), ჩატარდა თამაზ ბიბილურის შემოქმედებითი საღამო. აქვე მოეწყო „თამაზ ბიბილურის საერთაშორისო ფონდი ახალი თბილისის“ წარდგენა.

2017 წლის 14 დეკემბერს, საქართველოს მწერალთა კავშირმა და საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულომ, თბილისში, ელიას მთაზე, წმ. სამების საკათედრო ტაძარში, საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის საგამოფენო დარბაზში, მოაწყო თამაზ ბიბილურის შემოქმედებითი საღამო და „თამაზ ბიბილურის საერთაშორისო ფონდი ახალი თბილისი“-ს წარდგენა. აქვე მოეწყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება და გამოფენა (თამაზ ბიბილურის უნიკალური კოლექციის გამოყენებით).

სამეცნიერო შრომების ნუსხა:

2008 წ. სამეცნიერო ჟურნალი „აღმამეობელი“, „გამოჩენილი მოაზროვნე და ქართული ჟურნალისტიკის პატრიარქი“.

2014 წ. სამეცნიერო ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, „ქართული პრესა და არაფორმალური“.

2015 წ. სამეცნიერო ჟურნალი „პარალელი“, „ქართველი ერი და ეროვნული მოძრაობა“.

2017 წ. სამეცნიერო ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, „საქართველოს დამოუკიდებლობის თარიღის დადგენისთვის“.

სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები:

2005 წ. ოქტომბერი. აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს, საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი „სხვის“ სამეცნიერო კონფერენცია „აფხაზეთი: ისტორია, კონფლიქტის მიზეზები, მოგვარების გზები“. მოხსენება „აფხაზეთის კონფლიქტი და მასმედია“.

2007 წ. თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენება: „აფხაზეთის პრობლემები და ქართული პრესა“ (1880-1900-იანი წლების გაზეთების „დროებისა“ და „ივერის“ მიხედვით).

2008 წ. თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენება: „**გამოჩენილი მოაზროვნე და ქართული ჟურნალისტიკის პატრიარქი**“.

2008 წ. პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბიბლიოთეკის სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი დუშეთის ალ. როინაშვილის სახ. ცენტრალური ბიბლიოთეკის დაარსების 110 წლისთავისადმი. მოხსენებები: 1. „**ვაჟა-ფშაველა ჩვენი თანამედროვეა**“; 2. „**ალექსანდრე როინაშვილის ცხოვრება და შემოქმედება**“.

2014 წ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება“. მოხსენება: „**ნეიტრალიტეტი - გზა ხსნისა**“.

2015 წ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და კავკასია“. მოხსენება: „**მრავალპარტიული პრესის ჩამოყალიბება საქართველოში (XIX ს. ბოლო მეოთხედსა და XX ს. დასაწყისში 1901-17 წწ.)**“.

2015 წ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება“. მოხსენება: „**მრავალპარტიული პრესის დაარსება საქართველოში და სახელმწიფოს დამოუკიდებლობა (1918 და 1990 წლების პარალელები)**“.

2016 წ. თბილისში, რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში, გამართული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და კავკასია“. მოხსენება: „**26 მაისი მნიშვნელოვანი ისტორიული თარიღია და არა დამოუკიდებლობის დღე**“.

2016 წ. საქართველოს ჟურნალისტიკა კავშირი „სხივისა“ და „9 აპრილის“ საზოგადოების სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლისთავი და მომავალი“. მოხსენება: „**საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის (1989-90-იანი წლების) შედეგები და დღევანდელი ამოცანები**“.

2016 წ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება“. მოხსენება „**ახალი თბილისი**“ (ქალაქი მუზეუმი).

2017 წ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება“. მოხსენება „**საქართველოს სახელმწიფო მოწყობის თანამედროვე ქართული მოდელი**“.

1989 წლიდან არის საქართველოს ჟურნალისტიკა კავშირის წევრი (ითვლებოდა სსრკ ჟურნალისტიკა კავშირის წევრად).

1990 წელს დაარსებული „საქართველოს ჟურნალისტიკა კავშირის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი.

1990-იან წლებში იყო ჟურნალისტიკა კავშირის გამგეობის წევრი.

1995 წლიდან არის საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს და მონარქისტული კლუბის წევრი.

ჯილდო: დიპლომები და სიგელები; სამკერდე ნიშანი – „სახალხო განათლების წარჩინებული“; მოსკოვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალის მედალი; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო დროშა; მართლმადიდებელ ეკლესიათა მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოსმა პირადად გადასცა ოქროს (პატარა) ჯვარი; დედა ტერეზამ გადასცა ვერცხლის (პატარა) მედალიონი.

2017 წ. დაჯილდოვდა საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს სიგელით, - „**ქვეყნისა და ერის წინაშე დამსახურებისათვის**“.

ენების ცოდნა: ქართული (მშობლიური), რუსული (სრულყოფილად), ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ჩეხური, პოლონური ენები (ლექსიკონის დახმარებით).

ინტერესები: ფოტოხელოვნება, სპორტი (სირბილი - მარათონი, ალპინიზმი, ცურვა, ჩოგბურთი, სამთო-სათხილამურო).

P.S. თან ერთვის:

საქართველოს ჟურნალისტიკა კავშირი „სხივისა“ და „9 აპრილის“ საზოგადოების ცნობა;

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ატესტატის და მოწმობის ასლი;

ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის დიპლომის და მოწმობის ასლი;

დოქტორანტურის დამთავრების ცნობის ასლი;

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომის ასლი;

ლენინგრადის თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის დიპლომის ასლი;

ცესკოს მიერ გაცემული საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის მოწმობის ასლი.